22.12.2022წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

I. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის თანხის დაზუსტებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულების დაზუსტებით, და საკუთარი შემოსავლების დაზუსტებით.

II. იზრდება შემოსულობები 1 045 746 ლარით და ხდება 34 676 669 ლარი. მათ შორის:

1. იზრდება სხვა შემოსავლები 61 300 ლარით და ხდება 1 324 300 ლარი.
2. იზრდება გრანტები 876 446 ლარით და ხდება 15 992 369 ლარი.
3. იზრდება დღგ 108 000 ლარით და ხდება 14 560 000 ლარი.

III. იზრდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 1 045 746 ლარით და ხდება 38 227 178 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვროს 23 602 506 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვროს 1 737 305 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 4 252 516 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღროს 2 936 536 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვროს 1 418 215 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

IV. შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

V. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2022 წლის დეკემბრის თვის მესამე დეკადა.

VI. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი: /გიორგი მანგოშვილი/

დანართი

N	ნორმატიული აქტი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილებრივი ბიუჯეტი
1		უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	43 000		43 000
2		სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	347 000		347 000
3	N51	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სამუშაოების შესყიდვა	102 027	102 027	
4	N75	ქ ლაგოდეხში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია	1 878 771	1 478 771	400 000